ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2373170

ნომერი: AR1365726

თარიღი : 21.12.2015

გაცემის თარიღი : 05.01.2016

გაცნობის თარიღი : 05.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 221 , კორპუსი 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მედეა ჩხეტიანი პ/ნ 01009020257
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 51"ა" ბ. 19

ორგანიზაცია:

- შპს "ჯორჯიან ფაინენშალ კორპორეიშენ" კოდი: 202459963

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ვიტრაჟის რეკონსტრუქცია) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ნუცუბიძის ქუჩა #221, კორპუსი 4, შ.პ.ს. "ჯორჯიან ფაინენშალ კორპორეიშენ"–ის კუთვნილი ფართის ფასადზე (მხოლოდ მოიჯარე "საქართველოს ბანკი"–ს ნაწილში) სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ვიტრაჟის რეკონსტრუქცია) განხორციელებას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015446468 12/08/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.14.01.007.021.01.501; საპროექტო ფოტომონტაჟი, კონსტრუქციული დასკვნა და ნახაზი (მხოლოდ მოიჯარე "საქართველოს ბანკი"–ს ნაწილში)) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ნუცუბიძის ქუჩა #221, კორპუსი 4, შ.პ.ს. "ჯორჯიან ფაინენშალ კორპორეიშენ"–ის კუთვნილი ფართის ფასადზე (მხოლოდ მოიჯარე "საქართველოს ბანკი"–ს ნაწილში) სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ვიტრაჟის რეკონსტრუქცია– აბრების განთავსების და ტროტუარის კეთილმოწყობის გარეშე) განხორციელების შესაძლებლობას. გაითვალისწინეთ რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების დაცვით.

აქვე გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს (კონსტრუქტორის გადაწყვეტილების მიხედვით) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული დასკვნის საფუძველზე დამუშავებულ იქნას კონსტრუქციული სქემა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge